საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/66-2007 „14" აპრილი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 იანვრის №78 ბრძანებულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 27 დეკემბრის №1/119-2006 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2007 წლის 1 მარტიდან, –

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეებს როინ კახიძეს და ჟანა ჯიბლაძეს ბათუმში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 200 ლარი.

2. ფოთის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მარტვილის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მერაბ ჟვანიას ფოთში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 150 ლარი.

3. ყვარლის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ოლია სეფიაშვილს და ონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე რობერტ ჭინკორაშვილს, რომელთაც შესაბამის ქალაქში ან რაიონში არ აქვთ საცხოვრებელი ბინა საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 100 ლარი.

4. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის ქირის გაცემა.

5. გადაწყვეტილებაში მითითებულმა მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

ვალერი ცერცვაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი